სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/279

ქ. თბილისი 20 11 2018 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2018 წლის საშემოდგომო მიღებაზე მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რეგისტრაციის ვადების შესახებ.

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აპლიკანტები, რომლებიც 2018 წლის საშემოდგომო მიღებაზე პროფესიული ტესტირების საფუძველზე მოიპოვებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლებას, 2018 წლის 26 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, უნდა წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (იხ.დანართი №1).
2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის ფაკულტეტებზე, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა (იხ.დანართი №2).
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელი).
4. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი

დანართი № 1

1. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:„მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“, „მექატრონიკა“ სტუ-ის I კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი №543, საკონტაქტო ტელეფონი 2 36 40 35; 599700804

2. არქიტექტურის,ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტიმოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტორ-ტექნიკოსი“ სტუ-ის I კორპუსი, მე-4 სართული ოთახი № 406, საკონტაქტო ტელეფონი 555 475 419

3. სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი,მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „სამთო ტექნიკოსი“, „სამთო ელექტრომექანიკოსი“, „მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი“, ქ. ტყიბული, კარლო ლომაძისმოედანი №4, საკონტაქტო ტელეფონი 599 988 927; 599 304 642

დანართი№2

რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

1. დაბადების მოწმობა/პირადობის მოწმობა/პასპორტი და ასლი;
2. 2 ფოტოსურათი(3x4სმ) ამობეჭდილი დაელექტრონული ვერსია კომპაქტ-დისკზე (CD);
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობით გათვალისწინებულიდოკუმენტები - საბაზო/სრულიგანათლების ატესტატი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი.